



საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ. N5.

5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha,

E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

4 ნოემბერი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 49

ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. მოწონებულ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) წინადადება.

2. განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (შემდგომში - ფონდი) დასაფინანსებელი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პროექტების ნუსხა თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროექტების მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსება განხორციელდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით და განისაზღვროს პროექტების ჯამური ღირებულების ფარგლებში,

შესაბამის წელს ასანაზღაურებელი თანხების არანაკლებ 5%-ის ოდენობით, გარდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების 3¹ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4.ნება დაერთოს მერს, ეს განკარგულება და ამ განკარგულებით მოწონებული წინადადება (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაცია) წარადგინოს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულთან არსებულ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

5.ეს განკარგულება:

- ა) გადაეგზავნოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიას;
- ბ) ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე;
- გ) შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. N12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე


კორნელი სალია

